კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება

ზურაბ მელქაძე,
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში პირველად ქართული იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება. დასაბუთებულია კრიმინალისტიკური დახასიათების როლი და მნიშვნელობა კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში. მოცემულია ყველა ის მახასიათებლები, რაც სამოხელეო დანაშაულთა გამოძიებასთან არის დაკავშირებული, ასევე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გზით მოპოვებული ინფორმაციის გამოყენების გზები და საშუალებები.

შემდეგ აქცენტი გადატანილია საკითხებზე: 1. დანაშაულის ჩამდენი პიროვნების დახასიათება; 2. ორგანიზაციული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა; 3. დანაშაულის ჩადენის ხერხები, ადგილი და გარემოება. ასევე მოცემულია კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენების გზით დანაშაულის კვალის გამოვლენის და ფიქსაციის თავისებურებები.

Summary

This thesis reviews firstly in Georgian legal literature criminalistic characterization of occupational crimes having character of corruption. It grounds role and importance of criminalistic characterization in criminalistic science. It gives all those features which are connected to investigation of occupational crimes, as well as ways and methods for using information obtained by operative-criminal investigation activity.

Then it makes accent on the following issues: 1. Characterization of criminal; 2. Commit a crime by organizational group; 3. Methods, place and circumstance for committing a crime. It also gives peculiarities for demonstration and fixation of a crime by way of using criminalistic technique.

****

ცალკეულ დანაშაულებათა კრიმინალისტიკური დახასიათების მეცნიერულ კვლევას არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება (ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის ჩადენის კრიმინალისტიკური დახასიათების ზოგადი საკითხები განხილულია კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში და დანაშაულთა გახსნის ტაქტიკისა და მეთოდიკის ლექციების კურსში).[1]

გამომძიებლის მიერ გამოძიების პროცესში მისი ცალკეული დებულებების მოხერხებული გამოყენება იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ ოპერატიულად გამოვლინდეს დანაშაული, სრულყოფილად და ობიექტურად ჩატარდეს გამოძიება და საბოლოოდ შემუშავდეს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული ღონისძიება.

თუმცაღა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში ცალკეულმა მეცნიერმა უკიდურესად უარყოფითად შეაფასა კრიმინალისტური დახასიათების მნიშვნელობა დანაშაულის გახსნისა და გამოძიების საქმეში, მაგალითად: პროფესორ რ. ს. ბელკინმა რადიკალურად შეცვალა თავისი ადრინდელი პოზიცია და მიიჩნია, რომ „კრიმინალისტიკური დახასიათება წარმოადგენს კრიმინალისტიკურ ფანტომს და მან ვერ გაამართლა მასზე დაკისრებული მეცნიერებისა და პრაქტიკოსების იმედები“.[2]

ვერ გავიზიარებთ მეცნიერის ამ შეხედულებას და მიგვაჩნია, რომ კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტების ცოდნა და მათი ანალიზი გამოძიებას საშუალებას აძლევს მიიღოს (ზოგადი ტიპიური) ინფორმაცია გამოსაძიებელ საქმეზე, კერძოდ: კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ხერხზე, შეიმუშავოს ვერსია, მოიპოვოს ცნობები შესაძლო დამნაშავე პიროვნებაზე და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით პროფესორი შ. ფაფიაშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასითების ცოდნა წარმოადგენს კრიმინალისტიკური ტაქტიკის შემადგენელ ნაწილს, რომელიც: „საშუალებას იძლევა სწორად განისაზღვროს ცალკეული სახის ან ერთგვაროვან დანაშაულთა, ან ერთნაირი ხერხითა და საშუალე-

1 ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბ, თსუ-ს გამ, 1956, გვ. 72-104; შ. ფაფიაშვილი, დანაშაულის გახსნის ზოგადი მეთოკიდის პრობლემები. თბ. 1991, გვ. 71-82, შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა და მეთოდიკა (ლექციების კურსი, თბ, 1995, გვ. 137-145, ტ. 1.

2 Белкин Р. С. Криминалистика: - «Проблемы сегоднящего дня» М., 2001, с. 223

ბით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ტაქტიკა და მეთოდიკა, გამოძიების პროცესში სამეცნიერო ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების სწორად შერჩევა, რაც დანაშაულის გახსნის წინაპირობაა".3

ამავე შეხედულებებს გამოთქვამს პროფესორი ნ. პ. იაბლოკოვი. მისი აზრით, დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება მნიშვნელოვანია არა მარტო ზოგად თეორიული, არამედ გამოძიების მეთოდიკის თვალსაზრისითაც, რადგანაც გამომძიებელი მისი გამოყენების საშუალებით იღებს ტიპიურ ინფორმაციას დანაშაულის მოდელზე,[4] ხოლო ს.ვ. ლავრუხინს მიაჩნია, რომ დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება წარმოადგენს: „დანაშაულისა და არაკრიმინალისტიკური ინფორმაციის სინთეზს".[5]

ამავე შეხედულებას გამოთქვამს გ. ალანიაც, რომელიც თვლის, რომ კრიმინალისტიკური დახასიათების გარეშე შეუძლებელია გამომძიებელმა სწორედ დაგეგმოს ცალკეული კატეგორიის დანაშაულებები და მაღალი ალბათობის დონეზე გადაწყდეს პირის ბრალეულობა ჩადენილ ქმედებაში.6

აღარ ჩავუღრმავდებით თეორიულ მსჯელობას დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათების ცნებასა და შინაარსზე, რომლის დებულებები მთლიანად ეხება კორუფციული ხასიათის სამოხელეო კატეგორიის დანაშაულთა გამოძიებასაც, ვფიქრობთ ჩვენი ეს შეხედულება საკმაოდ სრულად აქვთ ჩამოყალიბებული ა.ნ. კოლესნიჩენკოსა და ვ.ა. კოვალოვს, რომლებიც წერენ, რომ „დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება გულისხმობს: ამა თუ იმ დანაშაულზე კრიმინალისტიკურად მნიშვნელოვანი ნიშნების ცნობების (ინფორმაციათა) სისტემას, რომლებშიც ასახულია მათ შორის კანონზომიერი კავშირები და შესაძლებელია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში საგამოძიებო ვერსიების აგება და მათი შემოწმება".[7]

კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას, რომელიც, როგორც წესი, ჩადენილია სახელმწიფო მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით და საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

განსახილველ დანაშაულთა ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი კონსტიტუციური წესწყობილების და საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლის სწორ და გამართულ ფუნქციონირებასთან. ამასთან სახელმწიფო აპარატის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს მთელი მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფო ხელისუფლებას, ასევე მმართველობის ორგანოებსაც, ყველა სამოხელეო დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პრესტიჟს და ავტორიტეტს. იგი ზიანს აყენებს ან უქმნის საფრთხეს კონკრეტული პიროვნების უფლებებს, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს.[8]

სოციალურად საშიში შედეგის (არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანის) დადგომის სავალდებულო ნიშანი საფუძველს იძლევა საერთო სახის კორუფციული სახის სამოხელეო დანაშაულებები დაიყოს მატერიალური და ფორმალური შემადგენლობის სამოხელეო დანაშაულად. მატერიალურ შემადგენლობებს განეკუთვნება ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი გულგრილობა, ხოლო ფორმალური შემადგენლობის საერთო სახის სამოხელეო დანაშაულს კი მიეკუთვნება მექრთამეობა (ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა) და სამსახურებრივი სიყალბე.

საერთო სახის თანამდებობრივ დანაშაულთა ასეთ კლასიფიკაციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კრიმინალისტიკური თვალსაზრისითაც, რადგან იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ კატეგორიის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის შემუშავებას.

ამრიგად, მატერიალური შემადგენლობის მქონე სამოხელეო დანაშაულის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოხელე თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ იდენს ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას (მოქმედებას ან უმოქმედობას), რომელიც საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, სამოხელეო დანაშაულის თავით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტები ასევე არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამაშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას: არბიტრაჟის წევრები, კერძო აღმასრულებლები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ ურთი-

3 შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტომი I, დანაშაულის გახსნის ტაქტიკა და
მეთოდიკა, თბილისი 1995, გვ. 68-69.

4 Криминалистика, под ред. Н. П. Яблокова, изд. «юрист», 2005, с. 60.

5 Лаврухин С. В. «Понятие криминалистики. Государство и право» 1998 №4. с. 75

6 გ. ალანია, ბიზნესის სფეროში ჩადენილი თაღლითობის კრიმინალისტიკური დახასიათება. სტუ მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

7 *Колесниченко А. Н Коновалова В. Е. «Криминалистическая характеристика преступлений» - Харковь, 1985, с. 92.*

8 სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2006, გვ. 119.

ერთობას.

მოხელესთან გათანაბრებული პირია ასევე უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირი (მათ შორის საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრი), ასევე ფუნქციის სხვა სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირი, ანდა ხელშეკრულებით დაქირავებული თანამშრომელი, ასევე ნებისმიერი მივლინებული ან არამივლინებული პირი, რომელიც ასრულებს ამა თუ იმ თანამდებობის პირის ფუნქციებს, საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელი, საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოს მოსამართლე და თანამდებობის პირი.

სამოხელეო დანაშაულიდან ყველაზე უფრო სოციალურად საშიშ დანაშაულად ქრთამის აღება ითვლება (სსკ 338 მ), ამიტომაცაა, რომ ქრთამის აღება სისხლის სამართლის კოდექსში შეკვეცილი შემადგენლობის სახითაა რეგლამენტირებული და ქრთამის აღების მოთხოვნის, დაპირების, შეთავაზების მომენტიდან ქმედება დამთავრებულ დანაშაულად ითვლება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონმდებელმა ქრთამის აღების მოსამზადებელი ქმედება, მისი სოციალურად საშიში ხასიათის გამო დამთავრებულ დანაშაულად მიიჩნია.

სამოხელეო დანაშაულის შედარებით ახალი ქმედების შემადგენლობას წარმოადგენს ზეგავლენით ვაჭრობა (სსკ 3391 მუხლი), რომელიც ასევე ფორმალურ დანაშაულთა კატეგორიას წარმოადგენს, რომლის თანახმად: „საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება იმ პირისათვის, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეეძლო არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე“.

ქრთამის აღების მსგავსად, ზეგავლენით ვაჭრობა ლათენთურ დანაშაულს წარმოადგენს, ამიტომაც საქართველოს სსკ 3391 მუხლის შენიშვნის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება პირი, რომელიც თავის მიერ ამ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს, ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით.

ხსენებულ დანაშაულებს აერთიანებთ:

- ანგარებით ან სხვა პირადი დაინტერესებით გამოწვეული დანაშაულის ჩადენის მოტივი;
- ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა უფლებების, საზოგადოებრივი ან სახელმწიფო კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა;
- დამნაშავის მიერ უკანონო შეღავათის ან უპირატესობის მინიჭება;
- სხვა პირის სასარგებლოდ რაიმე ქმედების განხორციელება, ან ასეთი ქმედებისაგან თავის შეკავება;
- სამსახურებრივი მფარველობის განხორციელება;

კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულის ჩადენას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის კონტროლის შესუსტება, რაც მოხელეს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს ქონებრივი გამორჩენა, ან უპირატესობა;
- მოხელეებისთვის გაუმართლებლად ფართო უფლებამოსილების მინიჭება, რაც მათ აძლევთ შესაძლებლობას ფიზიკური ან იურიდიული პირების მიმართ განახორციელონ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, სახელმწიფო ან მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ხარჯზე;
- თანამდებობაზე ნაცნობობის, პირადი ერთგულების, პოლიტიკური ნიშნით დანიშვნა, ასევე იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის ფორმალური საქმიანობით, რომლის ვალდებულებაშიც შედის კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულის გამოვლენა.

კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულის შესახებ გამოძიების დაწყების საფუძვლები შეიძლება იყოს:

ა) სამართლალდამცავ ორგანოებში მიწოდებული ინფორმაცია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, ქრთამის აღების ანდა ზეგავლენით ვაჭრობის შესახებ;

ბ) თუ ხსენებული დანაშაულებები გამოვლინდება სხვა რომელიმე დანაშაულის გამოძიების პროცესში;

გ) თუ ასეთი კატეგორიის დანაშაულებების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა მასმედიის საშუალებით;

გამომძიებელი, პროკურორი მიიღებენ რა შეტყობინებას კორუფციული სახის სამოხელეო დანაშაულის ჩადენის შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება, რა მიზნითაც მათ უფლება ეძლევათ, ჩაატარონ ნებისმიერი სახის საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

ზემოაღნიშნულ დანაშაულებათა თავისებურებებიდან გამომდინარე, თითოეული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება სპეციფიურობით გამოირჩევა, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მათი კრიმინალისტიკური დახასიათება, კერძოდ, 1) დანაშაულის ჩამდენ პირთა ვინაობა; 2) დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ; 3) დანაშაულის ჩადენის ხერხები, ადგილი და გარემოება.

ქრთამის აღების სუბიექტს, როგორც ზემოთ ითქვა, საჯარო მოხელე წარმოადგენს, ქრთამის აღება

გამოვლენილი სახელმწიფოს მრავალ სტრუქტურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, კონტროლის პალატაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, საბაჟო დეპარტამენტში და ა.შ.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის სწრაფი რეაგირების სამსახურის უფროსის მოადგილემ კ. რუხაიამ 2009 წლის 28 ოქტომბერს, დასახელებული ინსპექციის თანამშრომლებთან ერთად თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე მდებარე მ. მაჭარაშვილის მიერ დაქირავებულ ტერიტორიაზე აღმოაჩინა 21,92 $მ^3$ წიწვოვანი ჯიშის დახერხილი ხემასალა (ფიცარი), რომლის კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი ყველა საბუთი ამ უკანასკნელს არ გააჩნდა.

კ. რუხაიამ, ნაცვლად იმისა, რომ მოეხდინა სამართლებრივი რეაგირება, შეედგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და იგი განსახილველად სასამართლოში წარემართა, ბოროტად გამოიყენა თანამდებობა და უფლება მისცა მ. მაჭარაშვილს წაეღო ფიცარი.

კ. რუხაიამ, თავისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების დაფარვის მიზნით, 400 ლარი ქრთამის სახით გადასცა მითითებულ სწრაფი რეაგირების სამსახურის უფროსს ნ. ჩ-ძეს.[9]

დანაშაულის ორგანიზებული ჯგუფი წარმოადგენს კრიმინალისტიკური დახასიათების ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ელემენტს. მეცნიერ კრიმინალისტები ტ. ბოგოლუბოვა და ვ.მ. ბიკოვი ხაზს უსვამდნენ კრიმინალისტიკურ დახასიათებაში ჯგუფური დაშაულის შესახებ, ტიპიური მონაცემების არსებობის მნიშვნელობას.[10]

კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა შესწავლის კრიმინალისტიკური პროგრამა უნდა შეიცავდეს ასევე ჯგუფური დანაშაულის ჩადენისას ფულადი სახსრების განაწილების საკითხს. ცნობილია, უმუშევრობა, სიდუხჭირე ხშირ შემთხვევაში კრიმინალს განაპირობებს. ამ მიმართულებით გამოძიებამ უნდა გაარკვიოს დანაშაულებრივი ჯგუფის თითოეული წევრის ან გარემოებითი ხასიათის მოტივაცია.

ასეთ სიტუაციაში გამომძიებელმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოახდინოს დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორის დადგენა, რომლის მეშვეობითაც ოპერატიულად განისაზღვრება გამოძიების შემდგომი მიმართულება, აიგება ვერსიები და ა.შ.

კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულის ჩამდენი ჯგუფის წევრებს აერთიანებს ანგარების მოტივი და, როგორც წესი, ისინი ნებაყოფლობით თანხმდებიან ხსენებულ დანაშაულთა ჩასადენად, ამასთანავე ორგანიზატორი ცდილობს დანაშაულებრივ ჯგუფში ჩააბას ისეთი პირები, რომლებიც განათლების დონით და კრიმინალური შესაძლებლობით ამ მუშაობის გამოცდილებით გაუადვილებს დანაშაულის ჩადენას.

სამოხელეო დანაშაულის საქმეებზე გარემოების დადგენა წარმოადგენს კრიმინალისიტიკური დახასიათების მნიშვნელოვან ელემენტს. კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში დანაშაულის გარემოება განისაზღვრება როგორც სხვადასხვა ობიექტების, მოვლენების და პროცესების ურთიერთკავშირით, რომელიც ახასიათებს დანაშაულის ჩადენის ადგილს, დროს, გარემოს, ბუნებრივ, საყოფაცხოვრებო და სხვა პირობებს, კრიმინოგენური სიტუაციის მონაწილეთა ქცევის და დანაშაულის ჩადენის სხვა ფაქტორებს. ამიტომ მიიჩნევენ, რომ გარემოების ცნება გვარეობითი ცნებაა დანაშაულის ჩადენის პირობებისათვის, ადგილისათვის და დროისათვის,[11] ამასთან დაკავშირებით, მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ დანაშაულის ჩადენის გარემოება არ შეიძლება შემოიფარგლოს მარტო იმ ფიზიკური პირების წრით, სადაც მოქმედებდა დამნაშავე. დანაშაულის ჩადენის ინტერვალს შეიძლება ჰქონდეს თავისი ხანგრძლივი ისტორია, ჩამოყალიბების სხვა ისტორიული დრო.[12]

სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ტიპიური ადგილია უფრო ხშირად დამნაშავის ოფისი, ანდა სხვა ტერიტორია, საკუთარი სახლის მიმდენარე ტერიტორია (ეზო) ასევე წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის ადგილს. ბრალდებულის დადგენის მიზნით, დანაშაულის ჩადენის ადგილას დათვალიერებამ უნდა გამოავლინოს დანაშაულის ჩადენის არსებითი მახასითებლები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების საკითხის განხილვისას ჩვენ დაწვრილებით შევეხებით შემთხვევის ადგილის აღწერას. აქ კი აღვნიშნავთ, რომ დამნაშავის გამამართლებელი ვერსია განისაზღვრება: 1) დანაშაულის ჩადენის ადგილით და 2) ქრთამის მიმცემთა ურთიერთობის თავისებურებებით. ამიტომ, როგორც საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი მეტყველებს, კრიმინალისტიკურ დახასიათებაში დანაშაულის ადგილის აღწერას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული პირების ძირითადი მასა იყო 21-40 წლის ასაკისანი.

ამ ასაკში დასახელებული კატეგორიის პირებს უკვე აქვთ შესაბამისი განათლება, პროფესიული ცოდნა, ცხოვრებისეული გამოცდილება. ეს ფაქტორები კი დადებით გავლენას ახდენენ პირთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის სოციალური კონტაქტების დამყარებაზე.

ზოგიერთ შემთხვევაში გარემოება ხელს უწყობდა მათ გაერთიანებას ჯგუფური დანაშაულის ჩასადე-

9 საქმე №089090108

10 *Боголюбова Т. А. «О некоторых криминалистических особенностях преступлений, совершаемых группой лиц»*, 1981 с. 62-64; Быков В. М. «Криминалистическая характеристика насильственных завладений государственными и общественными денежными средствами, совершенными группой лиц» Волгоград, 1981 с. 77-80.

11 Криминалистика (под. ред. Н.П. Яблокова), изд. «юристъ», М., 2006. с. 51-52

12 Кудрявцева В.Н. ОБъективная сторона преступления, М. 1960, с. 23

ნად.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ სამოხელეო დანაშაულის ჩამდენ პირებს შორის, 2/3-ს მამრობითი, ხოლო დანარჩენს მდედრობითი სქესის პირები შეადგენენ.

კაცებისა და ქალების შედარებით დიდი რაოდენობის მონაწილეობა აიხსნება იმით, რომ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართულები ან ისინი, რომლებიც მუშაობდნენ, სარგებლობდნენ ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაზე კონტროლის შესუსტებით სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან და თავად ამ, სტრუქტურებში ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის არასათანადო ორგანიზაციით.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული კაცებისა და ქალების სხვა ნაწილი, ეკონომიკური კრიზისის, ქვეყანაში ინფლაციის მაღალი დონისა და უმუშევრობის პირობებში იყენებდნენ სხვისი ქონების და უფლებების მართლსაწინააღმდეგო ხერხებს, რათა ჰქონოდათ არსებობის საშუალება და გადარჩენილიყვნენ არსებულ პირობებში.

ადრე უკვე აღინიშნა, რომ სამოხელეო დანაშაულის ჩამდენთა განათლების დონე (უმაღლესი განათლებით 92%) პირდაპირ გავლენას ახდენს დანაშაულის ჩადენის გარემოებაზე.

განათლების მაღალი დონე დამნაშავეებს საშუალებას აძლევდა გამოეყენებინათ რთული დახვეწილი მექანიზმები დანაშაულის მომზადების ჩადენისა და დაფარვის დროს ფინანსურ სისტემაში და სამომხმარებლო ბაზარზე. დასახული მიზნების მისაღწევად ისინი იყენებდნენ თავიანთ თანამდებობრივ მდგომარეობას, სპეციალურ მომზადებას, მუშაობის გამოცდილებას, საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირების სპეციფიკის ცოდნას და ა. შ.

სამოხელეო დანაშაულის ჩამდენი პიროვნების მახასიათებელ მნიშვნელოვან ნიშნებს წარმოადგენს ცნობები მათ წარსულ დანაშაულებრივ საქმიანობაზე. ამ ცნობებიდან გამომძიებელმა უნდა მიიღოს ინფორმაცია პიროვნების ნეგატიურ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ თვისებებზე, მათ მიმართულებაზე კონკრეტული დანაშაულების ჩადენაზე, რაც შემდეგ აუცილებელია გამოყენებული უნდა იქნეს გამოძიების პროცესში.

საგამოძიებო ვერსიის აგებისას მნიშვნელოვანია დანაშაულის ისეთი საკვანძო მახასიათებლების დადგენა, როგორიცაა: 1) სქესი, ასაკი, განათლება, ბიოგრაფია, დაბადების და ცხოვრების ადგილი, პროფესიული გამოცდილება, სამუშაო, ოჯახური მდგომარეობა, ნათესავების ცხოვრების ადგილი; 2) პიროვნების თვისება, ლიდერობისაკენ მიდრეკილება; 3) მატერიალური მდგომარეობა; 4) კრიმინალური წარსული; 5) დაზარალებულთან ურთიერთობა; 6) იარაღის ქონა; 7) გართობის დრო და ადგილი; 8) დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები.[13]

კრიმინალისტიკური დახასიათების არსებითი ელემენტია სამოხელეო დანაშაულის ჩამდენთა მოტივი და მიზანი. მოტივი ფსიქოლოგიური მეცნიერების მიხედვით არის მოტივაციის შედეგი, დასკვნა ქცევის მიზანდასახულბის შესახებ, რომელიც ემსახურება გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

შესაძლოა, რომ სამოხელეო დანაშაული არ იყოს რთული მოტივაციის შედეგი, თუმცა არაა გამორიცხული მისი იმპულსური ხასიათიც.[14]

სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების პრაქტიკის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ტიპიური მოტივები, კერძოდ: ა) ანგარებითი მოტივი; ბ) გარკვეული წესისადმი მიდრეკილების შენარჩუნების მოტივი, ქუჩური გაგების, ძმაბიჭური და ა.შ. გ) ოჯახურ ურთიერთობაში ავტორიტეტის დაკარცვის შიშის მოტივი; დ) დამორჩილების მოტივი.

დანაშაულის ჩადენის ხერხი მჭიდროდ არის დაკავშირებული დანაშაულის კვალის დაფარვასთან, ამიტომ როდესაც ვსაუბრობთ დანაშაულის კვალზე, უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი მატერიალური ცვალებადობა, რომელნიც დაკავშირებულია დანაშაულთან. სამოხელეო დანაშაული სპეციფიური დანაშაულია და ამიტომ ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს იდეალურ ხასიათის კვალზე, მოწმეთა მეხსიერებაში არსებულ გარემოებათა აღქმა, ასევე სხვა პირთა წარმონათქვამები და ა.შ.

კვალის დადგენისას მნიშვნელოვანია მონაცემები დანაშაულის მოტივისა და მიზნის, დანაშაულის ხასიათის, დამნაშავის ქცევის, მათი სავარაუდო რაოდენობა. ყოველივე ცალკე აღებული მონაცემები კრიმინალისტიკური დახასიათების მნიშვნელოვანი ელემენტია, მაგრამ ერთობლიობაში ისინი საშუალებას იძლევიან დადგინდეს დანაშაულის კვალი და განვსაზღვროთ ვერსია.

კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ხერხების მსგავსება ვლინდება ასევე დანაშაულებრივი საქმიანობის მომზადების, ჩადენის, დაფარვისა და გამოვლენის მექანიზმის ძირითად თვისებებში, ასევე მიღებულ ინფორმაციებსა და საქმეზე შეკრებილ სხვა მასალებში; დანაშაულის შედეგად დატოვებულ კვალთა კანონზომიერებით, რაც მოხელის მიერ დანაშაულის ჩადენისათვის იყო გამოყენებული და მისი ბრალი დასტურდება (ბრძანებები, ხელშეკრულებები, საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტები და ა.შ.).

კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულის შესახებ ინფორმაციების წყაროებად გამოიყენება ასევე:

მოხელესთან უშუალოდ დაკავშირებული იურიდიული და ფიზიკური პირები;

მოხელის უკანონო საქმიანობის დამადასტურებელი მოქალაქეთა ორგანიზაციების საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე სხვა მატერიალური ობიექტები, რომელიც წარმოადგენს

13 Криминалистика, учебник для вузов, под ред. Р. Белкина, М. 2000, с. 125

14 Кикнадзе Д . А . Система факторов деиствия и развития мочности, Тб . «Сабчота Сакартвело» 1982, с . 148-149 .

აღნიშნული საქმიანობის საგანს, შედეგს და მიზნის განხორციელების საშუალებას.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები, სპეციალისტების დასკვნები და გამოკითხვის შედეგები, დოკუმენტებისა და სხვა საგნების შემოწმებები, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნები.

კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, აღნიშნული დანაშაულის ნიშნები საშუალებას გვაძლევს გავმიჯნოთ ისინი სხვა სამოხელეო დანაშაულისგან და განვსაზღვროთ სისხლის სამართალწარმოების საშუალებები და მეთოდები.

და ბოლოს, არ შეიძლება არ შვეხოთ კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა სამართალწარმოების პროცესში ხელშემშლელ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, ესენია:

დანაშაულის გამოვლენამდე კრიმინალისტიკურად მნიშვნელოვან წყაროზე ზემოქმედება (კვალის წაშლა და ა.შ.);

დაინტერესებული პირების მიერ მათ ხელთ არსებული შესაძლებლობით ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ჩატარებისათვის ხელის შეშლა და საწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელება.

აღნიშნული ნეგატიური გარემოებების ნეიტრალიზაციის მიზნით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოქმედებები:

- სისხლისსამართალწარმოების ცალკეული მონაწილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება სასამართლო ხელისუფლების და მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის, თუ მათ ქმედებაში მოიპოვება აღნიშნული დანაშაულის ნიშნები;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მასალების ან გამოძიების მონაცემების გახმაურების აკრძალვა მათთვის, ვისთვისაც ცნობილი იყო აღნიშნული ფაქტის შესახებ;
- გამომძიებელზე, დაზარალებულზე და მოწმეზე ადვოკატის და სხვადასხვა თანამდებობის პირების შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარება;
- დამსწრეებზე, ექსპერტებზე ზემოქმედების აღკვეკა;
- პროცესის მონაწილეების მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება;
- დანაშაულის დაფარვაში დაინტერესებული თანამდებობის პირების წინააღმდეგობის ნეიტრალიზება.

ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას წინააღმდეგობის გადალახვის საშუალებებს განეკუთვნება პროცესუალური ღონისძიებები, სხვადასხვაგვარი ტაქტიკური ხერხები და მეთოდები, რასაც საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს.

დაწყებით ეტაპზე გამოძიების რაციონალური დაგეგმვა, რომელიც შედგება შემდეგი მოქმედებებისგან:

- საგამოძიებო სიტუაციის შესწავლა;
- გამოძიების დაწყებით ეტაპზე ცნობილი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების პროცესში მოპოვებული ინფორმაციების ანალიზი;
- იმ საკითხებისა და გარემოებების განსაზღვრა, რომელთა დადგენა, დამტკიცება და გადაწყვეტა იგეგმება გამოძიების პროცესში;
- საგამოძიებო ვერსიების აგება;
- დასაბუთებული ფაქტიური მონაცემების დანაშაულის განსაზღვრის ფორმალურობა;
- გამოძიების პროგნოზირება;

გამოძიების სუბიექტების წინაშე მდგარი შემდგომი ამოცანებისა და მიზნების, საშუალებების, მეთოდებისა და მიღწევის ხერხების შესახებ ინფორმაციის წყაროს შეადგენს საგამოძიებო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, ტაქტიკური და პროცესურალური გადაწყვეტილებები:

- თანამდებობის პირის საქმიანობის სფეროს შესწავლა, დანაშაულის ჩადენის გარემოებების ძირითადი და დამატებითი ფაქტორების ანალიზი;
- თანამდებობის პირის სატელეფონო ჩანაწერების კონტროლი, საცავის სადგომისა და სათავსის დათვალიერება, დაზარალებულის და მოწმის დაკითხვა;
- დანაშაულებრივი საქმიანობის კვალის გამოკვლევა (ნივთიერი მტკიცებულებების, დოკუმენტების ნიმუშების და ა.შ.);
- პირის მიმართ მახასიათებელი მასალების მოპოვება;
- სპეციალური გამოკვლევების დანიშვნა და ჩატარება (დოკუმენტალური შემოწმება, რევიზია, სასამართლო ექსპერტიზები).

კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულის გამოძიების მიმდინარეობისას მისი ეფექტურობა, პირველ რიგში, განისაზღვრება გამოყენებული ტაქტიკური ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობით.

გამომდინარე იქიდან, რომ კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას დიდი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტაციას, დათვალიერებამდე საჭიროა იმ ნორმატიულ დოკუმენტებთან (ინსტრუქცია, ბრძანება, დებულება და ა.შ.) გაცნობა, რომლებითაც რეგლამენტირებულია თანამდებობის პირის და სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის უფლებამოსილება. დათვალიერების დროს უნდა იქნეს შესწავლილი ის დოკუმენტები, რომლებშიც აშკარად ჩანს დაშვებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, რაიმე გამორჩენის, უპირატესობის მიღება, შეღავათიან ან მფარველობის გაწევა (სამეწარმეო ორგანიზაციის დაფუძნება, მართვა და მფარველობა მაკონტროლებელი ორგანოების შემოწმების აქტები; შესაბამისი თანამდებობის მიმართ არსებული საჩივრები; საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებული სტატიები და ცნობები თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებებზე; მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის აქტები; ზედდებულები;

თანამდებობის პირის ბრძანებები და განკარგულებები თანამდებობაზე დანიშვნის, განთავისუფლების, პრემირების, შეღავათების და ა.შ.).

ტაქტიკურ მიმართებაში განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს ბრალდებულის დაკითხვას. გამომძიებლის მიერ დასაკითხის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც წესი, პირველ ეტაპზე ბრალდებული თანანმდებობის პირისათვის დამახასიათებელია თავდაჭერილობა, გამომძიებლისადმი უპატივცემულობა, თავისი უფლებების ცოდნა. ამავე დროს, გაურკვეველი მდგომარეობის, მათ შორის შესაძლო დაპატიმრების, გამოძიებისათვის ცნობილი მტკიცებულებების, თავისი გავლენის გამოყენების შეუძლებლობის და ა.შ. გამო მას შესაძლოა გააჩნდეს შიში და მღელვარება. ასეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა გამომძიებლის მიერ ტაქტიკოფსიქოლოგიური ხერხების შემუშავებისა და გამოყენების საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ: დასაკითხი პირის გეგმებს და განზრახვაში ჩაწვდომა ე.წ. რეფლექსური მსჯელობის მეთოდიკა:

- ტაქტიკური ხერხების მყისიერი გამოყენება;
- ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემისას ირიბი ინფორმაციის მიწოდება, რასაც დასაკითხის ფსიქოლოგიური მდგომარეობის პირობებში შესაძლოა მოჰყვეს უცაბედი წამოცდენა;
- ირიბი დაკითხვის მეთოდი;
- დასაკითხი სუბიექტების ჩვენებებში და მათ შორის რეალურად არსებული წინააღმდეგობების გამოყენება;
- ერთი და იგივე პირის ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები და ა.შ.

ამავე დროს, დაუშვებელია კანონის ეთიკური ნორმების და სამართალწარმოების პრინციპების დარღვევა, ხოლო ფსიქოლოგიური ზეწოლა არ უნდა გადაიზარდოს არამართლზომიერ ფსიქიკურ ძალადობებში.